ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის

ბრძანება № 40 §1

04/05/2020

თბილისი

6000369920

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბიუროს უფროსის 2014 წლის 11 აპრილის N68 §6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებად დაინიშნონ შემდეგი პირები:

ა) ეკა ჭუმბურიძე - ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი;

ბ) ლალი ვადაჭკორია - ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - ფინანსური აღრიცხვის სამმართველოს უფროსი.

2. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემა და პროაქტიულად გამოქვეყნება განხორციელდეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის წინასწარი თანხმობის საფუძველზე **(ტარიელ ზამბახიძე).**

3. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნების ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტს **(როლანდ მახმუდოვი).**

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ“ ბიუროს უფროსის 2014 წლის 25 ივნისის N116 §3 ბრძანება.

6000369920

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლერი ბარნაბიშვილი

ბიუროს უფროსი